დანართი 1

დამტკიცებულია

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის

ხელმძღვანელის 2024 წლის 3 ივლისი N_____ბრძანებით

თავისუფალი ხედვის აკადემია - Free vision academy

#Freeeduge

#Freeva

#მოიპოვე თავისუფლება ჩვენთან ერთად!

#პროფესიული განათლება სკოლაში!

სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი ციკლური)

ქ.თბილისი

2024 წელი

სარჩევი

შესავალი.....3
კონტექსტი.....3
აკადემიის საქმიანობის SWOT ! ეგ, ,! როგორ ანალიზი.....8
მისაია.....10
ხედვა.....10
სტრატეგიული მიზნები.....11
სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი).....12
ბოლოსიტყვაობა.....21

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თავისუფალი ხედვის აკადემიის - Free Vision Academy (შემდგომში - აკადემია) სტრატეგიულ გეგმას. გეგმის მიზანია გამოკვეთოს პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც აკადემია იხელმძღვანელებს საქმიანობის პროცესში.

კონტექსტი

აკადემია მიზნად ისახავს პროფესიული პროგრამის/პროგრამების, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების, არაფორმალური განათლების აღიარების განხორციელებას. შესაბამისად ვალდებულია სწავლის მსურველს შესთავაზოს კომფორტული გარემო, შექმნას ხარისხიანი სასწავლო პროცესი, ჩამოაყალიბოს კონტროლისა და განვითარების მექანიზმები. ზემოაღნიშნული გარემოებები ქმნის საფუძველს სწავლის მაღალი ხარისხისათვის და უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებულ ცოდნისა და უნარების შეძენას. აღნიშნული პროცესები არსებითად განაპირობებს პროფესიულად თვითმყოფადი, თავისუფალი და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ფორმირებას.

სიტუაციური ანალიზი:

ა) არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება - დაგეგმილი პროგრამების განსახორციელებლად:

1. ადამიანური რესურსები:

1.1. მიმდინარეობს მოძიება და ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან.

1.2. ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით.

1.3 აკადემიის მენეჯმენტი უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად, საჭიროებს პერსონალის სისტემური პროფესიული განვითარებას, რაც ითვალისწინებს მათ რეგულარულ ჩართულობას სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში.

2. მატერიალური რესურსები:

2.1. აკადემია ეტაპობრივად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი თანამედროვე ტექნიკური ბაზის გაძლიერებას. დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სალექციო აუდიტორიებით და მუდმივად ინტერნეტზე წვდომის მქონე კომპიუტერული კაბინეტებით, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მაღალ ეფექტიანობას.

2.2. საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო იძლევა პრაქტიკული სწავლების კარგ შესაძლებლობას.

2.3. პროფესიული პრაქტიკის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მოლაპარაკებები პარტნიორ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, რაც შექმნის პრაქტიკის ორგანიზებულად და ხარისხიანად განხორციელების საფუძველს.

2.4. აკადემიაში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო სერვისის შექმნის პროცესი;

2.5. ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისა და დამატებითი აღჭურვის საკითხებზე აკადემია აქტიურად მუშაობს. მაგ, აკადემიის პარტნიორმა, პარტნიორთა შეთანხმების საფუძველზე აკადემიის საბანკო ანგარიშზე განახორციელა ინვესტიცია და მიმდინარეობს სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკის და სასწავლო დანიშნულების ავეჯის შეძენა.

2.6. აკადემია აღჭურვილია შიდა აუდიტორიების ნაწილობრივ ვიდეოთვალთვალის სისტემით. აუცილებელია აკადემიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრის აუდიო-ვიდეო კონტროლით უზრუნველყოფა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფილის/საგანმანათლებლო მიმართულებების განსაზღვრა - აკადემია გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას.

4. პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი - ამ ეტაპისათვის, აკადემიის მიერ განხორციელდა 25 ზე მეტი სკოლის ორგანიზაციის და პოტენციური სწავლის მსურველებთან, დამსაქმებელთან კომუნიკაცია რის შედეგადაც გამოიკვეთა:

ა) ვებ-ტექნოლოგიებში (ინტეგრირებული) 280 მსურველია

ბ) კომპიუტერულ ქსელებში და სისტემებში (ინტეგრირებული) 150

გ) ინფორმაციულ ტექნოლოგიებში 100

დ) საექთნო განათლების პროგრამის მსურველი 70

გ) საფინანსო სერვისები 70

დ) ბუღალტრული აღრიცხვა 120

ე) აღმზრდელი 200

5. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა - აკადემიაში შექმნილია ყველა პირობა სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მისაღებად. აკადემიის აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რათა სსსმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ადაპტირებულია სტუდენტების

საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული მიზნების მიღწევისათვის პერსპექტიულია თანამშრომლობის გაღრმავება როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და სტუდენტთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებას.

6. ვებ-გვერდი/სოციალური ქსელი - აკადემიის ადმინისტრაციის მონაწილეობით მუშავდება ახალი ვებ-გვერდი - www.freevision.ge

www.Freevisionedu.ge; www.Freeedu.ge და საკუთარი სოციალური გვერდები;

7. პარტნიორობა კერძო სექტორთან - აქტუალურია პარტნიორობა კერძო სექტორთან. ამისათვის, აკადემია გეგმავს, , თანამშრომლობას ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან. აკადემიის ძირითადი მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა, რათა სტუდენტებმა შეძლონ პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებას და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას/დახვეწას.

8. თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე - აკადემია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან, განსაკუთრებით მუნიციპალურ და საქალაქო სამსახურებთან, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან, სამედიცინო კლინიკებთან და სკოლამდელ დაწესებულებებთან;

9. თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან - თანამშრომლობა მოიცავს კონსულტაციებისა და დატრენინგების, რომელიც გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს, ასევე აკადემიისათვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემას.

10. ძირითადი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა: საქართველო, თბილისი

11. გამოწვევები: პროფესიული განათლების განვითარების მზარდი ტემპი ახალ გამოწვევებს უწესებს აკადემიას და მეტ არგუმენტაციას აძლევს “მოიპოვე თავისუფლება ჩვენთან ერთად”. ტექნოლოგიური პროცესი იმდენად მზარდია, რომ საჭიროა კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებელი პროგრამების შეთანხმება კერძო სექტორთან, რათა ისინი მუდმივი განახლების რეჟიმში ფუნქციონირებდნენ. გამოწვევებზე პასუხის ერთ-ერთი მიდგომაა: ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, კერძო სექტორის ჩართულობის დონის გაზრდა პრაქტიკის უზრუნველყოფაში, კერძო სექტორისა და პროფესიული სტუდენტების მეტი ჩართულობა აკადემიის საქმიანობაში.

12. აკადემიის განვითარების დასაბუთება:

1) ეკონომიკური საჭიროებები - აკადემია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში — ეკონომიკურად განვითარებად გეოგრაფიულ ადგილას. აღნიშნული გარემო ქმნის ხელსაყრელ პირობებსა და წინაპირობას, რომ აკადემია განვითარდეს მიზნობრივად იმ პროფესიულ

მიმართულებებში, რომლებიც არის დაკავშირებული რეგიონში არსებული ეკონომიკური საჭიროებებისა და სექტორული მოთხოვნების პასუხად. ამ პროცესის მდგრადი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური სექტორის მუდმივ ჩართულობასა და შრომის ბაზრის ტენდენციების სისტემატურ ანალიზს.

2) სოციალური საჭიროებები - აკადემია მოწოდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტების შრომით და სამოქალაქო ღირებულებების განვითარების პროცესს, რადგან თითოეული პროგრამის მისაღწევი კომპეტენციების ჩამონათვალში ღირებულებების განვითარება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი. შესაბამისად, სასწავლო კურსების ერთობლიობა, არაფორმალური აქტივობები, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებას ყველა სახის სოციალური საჭიროებების პირთათვის.

3) საგანმანათლებლო საჭიროებები - პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მათი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები უზრუნველყოფს მოთხოვნადი სამუშაოს განხორციელებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სწავლებას/ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია კონსულტაციები დამსაქმებლებთან მათი მოთხოვნების დასადგენად ამა თუ იმ პროფესიაზე. დამსაქმებელთა მოთხოვნები, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამების პროფესიულ სტანდარტებთან, გასათვალისწინებელია პროფესიული პროგრამების შემუშავებისას.

4) კონკურენტი დაწესებულებები და მათი პოზიციები საგანმანათლებლო ბაზარზე - ისინი წარმოდგენილი არიან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით. მათი რაოდენობა შეზღუდულია გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში, ხოლო ზოგიერთი პროგრამის მხრივ აკადემია ერთადერთია. არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიზანშეწონილია სასწავლო რესურსების დამატებითი გაზრდა.

13.დაწესებულების განვითარების ხედვა პერსპექტივაში, სტრატეგიული განვითარების მიმართულებები, სამოქმედო გეგმა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა:

ა) დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სამომავლო ხედვის განსაზღვრა: 2024-2025 წლებში აკადემია მიზნად ისახავს მოდულურ პროგრამების განხორციელებას, აქედან გამომდინარე სამომავლოდ გეგმავს ახალი პროგრამების დანერგვას შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გათვალისწინების და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე.

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების პროცესში ინტენსიურად ვთანამშრომლობთ და ვითვალისწინებთ კერძო ბიზნესის მოთხოვნებს. ისინი დაინტერესებულნი არიან აკადემიის საქმიანობითა და მომავალ კურსდამთავრებულთა დასაქმებით მათ კომპანიებში. მოცემული ეტაპისათვის, აღნიშნული ჩართულობა არის მზარდი. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში, ბიზნესის მეტი ჩართულობა განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს აკადემიის მოკლევადიანი/გრძელვადიანი გეგმებისა და სტრატეგიის განსაზღვრა-განხორციელებაში.

ბ) დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის განსაზღვრა - ამ ეტაპზე აკადემიაში დასაქმებულია კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი და მიმდინარეობს პროგრამების შესაბამისი პროფესიული მასწავლებლებით და ინსტრუქტორებით დაკომპლექტება. აკადემია მჭიდროდ თანამშრომლებს პარტნიორ კომპანიებთან და დამსაქმებელთან.

გ) დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განსაზღვრა:

გ.ა. უძრავი ქონება - აკადემიის შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი შეადგენს 1300 კვ.მ,

გ.ბ. ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა - დამფუძნებელთა შენატანი, ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. აკადემიის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში. მათი განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ხმარდება აკადემიის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესება მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით და წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

დ) უსაფრთხოება და დაცულობა - დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინვენტარი, მიმდინარეობს შრომის უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების ჩამოყალიბება. ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი შესაბამისი კვალიფიციური პერსონალით, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და აღჭურვილობით. შენობა აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმებს. გამართულია დამხმარე ინფრასტრუქტურა. აკადემიის 24-საათიან რეჟიმში იცავს დაცვის სამსახური - შპს ვიქტორია სექიურითი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაცულია და ძირითადი საშუალებების, ტექნიკის, სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების დაცვა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

აკადემიის საქმიანობის SWOT ანალიზი

SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• კეთილმოწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემო; • მაღალკვალიფიციური, მოტივირებული, მუდმივად პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსი; • უძრავი ქონების იჯარით სარგებლობა 7 წლის ვადით; • პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა; • თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე; • აქტივობების განხორციელებისათვის ფინანსური რესურსი; • აკადემიის 24-საათიან რეჟიმში დაცვის სისტემა. • ინტერნეთით უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო • პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობა	• სტუდენტური საერთო საცხოვრებლისა და გადასაადგილებელი ტრანსპორტის არქონა; • ცალკეულ პროგრამებზე სასწავლო პრაქტიკისთვის შესაბამისი სახელოსნოების არქონა; • ბიბლიოთეკაში პროფესიული პროგრამების შესაბამისი რესურსების საკმარისი რაოდენობის არქონა; • სასწავლო რესურსების არასაკმარისი რაოდენობა; • აკადემიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრის აუდიო-ვიდეო კონტროლით სრულყოფილად უზრუნველყოფის ნაკლებობა. • საერთაშორისო პარტნიორების ნაკლებობა; • ლიტერატურით (წიგნები ბეჭდური და ელექტრონული მატარებლებით) აღჭურვილი ბიბლიოთეკა • ლაბორატორიული თუ ციფრული რესურსების უკმარისობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები, რისკები**
• პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლები მიმდინარე ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა;	• პროფესიული განათლების არასაკმარისი პოპულარიზაცია; • სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები; • კერძო სექტორის პასიურობა;

• ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემა, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ახალი პროფესიული პროგრამების დანერგვა; • პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; • სასწავლო პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლება სწავლების ახალი, თანამედროვე მეთოდების დანერგვით; • მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა; • მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენება და გაუმჯობესება; • დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვა ახალი პროექტების განხორციელების გზით; • სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაინტერესების ზრდა; • თანამედროვედ აღჭურვილი პრაქტიკის ობიექტების სიახლოვე; • დამსაქმებლებთან და ბიზნესთან კავშირის გაძლიერება.	• სახელმწიფო დაფინანსების შემცირება ან შეწყვეტა; • პერსონალის გადინება ან დაბალი მოტივაცია; • დემოგრაფიული მაჩვენებლების გავლენა

თავისუფალი ხედვის აკადემიის მისიაა

შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური კადრების მომზადება და განათლების ინტერნაციონალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ ინკლუზიას, ინდივიდის პიროვნულ და პროფესიული განვითარებას.

ჩვენი ხედვაა

გავხდეთ სანდო პარტნიორი შრომის ბაზრისთვის, მათ შორის საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, რომელიც ამზადებს საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, თანამედროვე უნარებით აღჭურვილ და კვალიფიციურ სპეციალისტებს.

ღირებულებები:

- გამჭვირვალობა
- სამართლიანობა;
- ობიექტურობა;
- გუნდურობა;
- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა;
- ინოვაცია და უწყვეტი განვითარება;
- შრომის ბაზარზე ორიენტირებულობა;

აკადემიის სტრატეგიული მიზნები:

მიზანი N1 აკადემიის ინსტიტუციური განვითარება;

მიზანი N2 შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება;

მიზანი N3 სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული სერვისების განვითარება და მხარდაჭერა;

მიზანი N4 დაწესებულების ცნობადობის გაზრდა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი N1											
აკადემიის ინსტიტუციური განვითარება											
ამოცანა	რესურსი	წლები								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
		2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031		
1.1.რეგულაციების და სტრატეგიული გეგმების შემუშავება-განვითარება	მოქმედი კანონმდებლობა; პორტალი Matsne.gov.ge									შემუშავებული და დამტკიცებული რეგულაციები	აკადემიის ხელმძღვანელი.
1.2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება	მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტები; მონიტორინგის სისტემა									სტანდარტების შესაბამისად შესაბამისობის დადასტურება თვითშეფასებით, ცენტრისგან	ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის მენეჯერი

1.3.ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობა სწავლების, სწავლის პროცესში	კომპიუტერები, ჭკვიანი დაფები, აკადემიის ადამიანური რესურსი									განახლებული სივრცეები; ახალი აღჭურვილობა	• ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნული ინტელექტის განვითარების მენეჯერი • სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი
1.4. ადამიანური რესურსების გაძლიერება	ტრენერი, პარტნიორი ორგანიზაცია									გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა წლიურად	• აკადემიის ხელმძღვანელი • საქმისწარმოების და ადაიანური რესურსების განვითარების მენეჯერი

1.6. უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა			უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა;დადებითი დასკვნა უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ; ადაპტირებული გარემო	• აკადემიის ხელმძღვანელი • სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი
სტრატეგიული მიზანი N2				
შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება				
ამოცანა	რესურსი	წლები	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი

		2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031		
2.1. საგანმანათლებლო პროგრამების განახლება, განხორციელება	პროფესიული სტანდარტები, მოდულების სტრუქტურები, შეფასების ინსტრუმენტები;ინფრასტრუქტურა და ტექნიკა									კერძო სექტორის/დამსაქმებელთა ჩართულობით განახლებული პროგრამების რაოდენობა	● აკადემიის ხელმძღვანელი ● სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი ● პროგრამის ხელმძღვანელები
2.2. ახალი პროგრამების დამატება	პედაგოგები, დოკუმენტაცია, შესაბამისი მატერიალური რესურსი									შემუშავებული და დანერგილი ახალი პროფესიული პროგრამების რაოდენობა	● აკადემიის ხელმძღვანელი ● სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი ● პროგრამის ხელმძღვანელები ● სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების

											განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი
2.3. ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრაცია	შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო სივრცეები ინტეგრირებულის თვის - ლაბორატორია, ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები									პროგრამების რაოდენობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სწავლის შედეგები	● აკადემიის ხელმძღვანელი ● სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი ● პროგრამის ხელმძღვანელები
2.4. მომზადება-გადამზადების პროგრამების დანერგვა-განვითარება	სასწავლო სივრცეები, აღჭურვილობა (ლაბორატორიები, სემინარული ოთახები),ტრენერები									დანერგილი პროგრამების რაოდენობა; დასაქმების ან კარიერული წინსვლის მაჩვენებელი გადამზადების შემდეგ	● აკადემიის ხელმძღვანელი ● სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი
2.5.არაფორმალური	აკადემიის ფინანსური და									უფლების მოპოვების	● აკადემიის

განათლების აღიარების უფლების მოპოვება და პროცესის წარმართვა	ადამიანური რესურსი									დამადასტურებელი დოკუმენტი; განხორციელებული შეფასების პროცესების რაოდენობა	ხელმძღვანელი ● სწავლების განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი
სტრატეგიული მიზანი N3											
სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული სერვისების განვითარება და მხარდაჭერა											
ამოცანა	რესურსი	წლები								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
		2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031		
3.1 კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება	კომუნიკაციის არხები, პარტნიორთა/პოტენციურ პარტნიორთა ბაზა									გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები და განხორციელებული	● აკადემიის ხელმძღვანელი ● საზოგადოებასთან ურთიერთობის,

										აქტივობები	სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი
3.2.კარიერული განვითარების მხარდაჭერის სისტემის შექმნა და განვითარება	აკადემიის ადამიანური რესურსი									შექმნილი ინდივიდუალური კარიერული გეგმების რაოდენობა; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი კარიერული მხარდაჭერის სერვისებით	• სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი;
3.3.კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა	კურსდამთავრებულთა რეესტრი, გამოკითხვის ინსტრუმენტები									დასაქმებული კურსდამთავრებულების პროცენტული მაჩვენებელი	• სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და

											დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი; • საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი
3.4. დამსაქმებელთა უკუკავშირის სისტემური გამოყენება	გამოკითხვის ინსტრუმენტი									გაზაში არსებული დამსაქმებელთა რაოდენობა;უკუკავშირის მონაცემების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების მაჩვენებელი	• სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი;
სტრატეგიული მიზანი N4											
დაწესებულების ცნობადობის გაზრდა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა											

ამოცანა	რესურსი	წლები								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
		2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031		
4.1 საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერება და PR სტრატეგიის განვითარება	კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი;									შემუშავებული და დამტკიცებული PR/კომუნიკაციის სტრატეგია	● აკადემიის ხელმძღვანელი ● საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი
4.2. ადგილობრივ დონეზე პარტნიორობის გაფართოება	ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსება									გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების რაოდენობა; ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებები	აკადემიის ხელმძღვანელი
4.3. პროფესიული	შერჩეული სკოლების ბაზა;									სკოლებთან	● აკადემიის

უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლებთან თანამშრომლობა	ტრენერი									გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები; მოსწავლეებისთვის ორგანიზებული პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებების რაოდენობა	ხელმძღვანელი ● სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი; ● საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული კვლევების მენეჯერი
4.4. საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა და ქსელებში გაწევრიანება	შესაბამისი პლატფორმა; ადამიანური რესურსი									წარდგენილი საგრანტო პროექტები; საერთაშორისო ქსელების/გაერთიანებების რაოდენობა	აკადემიის ხელმძღვანელი
4.5. პროფესიული მასწავლებლების, სტუდენტების, ადმინისტრაციის გაცვლით პროგრამებში	ფინანსური რესურსი									დაფინანსებული საერთაშორისო პროექტების რაოდენობა; პერსონალის/სტუდენტების მონაწილეობის	● აკადემიის ხელმძღვანელი ● საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციალური მედიის და მარკეტინგული

მონაწილეობა										დამადასტურებელი ცნობა/სერტიფიკატი საერთაშორისო ტრენინგებსა და შეხვედრებში	კვლევების მენეჯერი ● სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი; ● სწავლების განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი

ბოლოსიტყვაობა

წინამდებარე სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელმაც უნდა გაუადვილოს აკადემიას მისი მიზნების მიღწევა. სტრატეგიულმა გეგმამ უნდა გააძლიეროს და ინტენსიური გახადოს აკადემიის ორგანიზაციული განვითარების პროცესი. ის უნდა გახდეს აკადემიის დაინტერესებულ მხარეებთან გამჭვირვალე ურთიერთობისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტი. სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში აკადემია განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საგანმანათლებლო სივრცეში.